

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგვტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შუური.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ურარულს ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგვტოვის სახლებში) მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ფასი ნახევარ წლისა — — — 4 მან. და 50 კაპ. სამის თვისა — — — 2 მან. და 50 კაპ. ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლარები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაგზავნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дრობа“.

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათნავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

ხელის-მოწერა

ზაქათალის მცხოვრებთათვის

„დროების“ რედაქცია	— 10 მან.
სარძეო სარდაფი, ძველი	— 5 „
№ №	— 1 „
ანდრია პანაძე	— 1 „
პ. წ.	— 1 „
პ. შიფანი	— 1 „
ბეს. ხოფერია	— 3 „
ან. პანაძის ქარგლები	— 3 „
მლადიმერ ძელიციძე	— 1 „
სტ. მელიამინოვის სტ მბა	— 5 „

სულ — 31 მან.

შეცხადებთ ამ პირველ მცირეოდენ სიას ხელის-მოწერლებისას იმ იმედით, რომ თფილისის მსგავსად სხვა ქალაქებშიაც გაიმართება ხელის-მოწერა და ამნაირად დაეხმარებიან გაჭირებულებთა.

შეწირული ფული გამოგზავნება ზაქათალას, როტმისტრის მოსტანტინე პეტრეს ძის ამსარაკანის ს.ხელობაზე.

საქართველო

კარგი მაგალითი

სანამ რომელიმე ხალხი იმდენად გონება-გახსნილი და განათლებული წინ-წაწული არ არის, რომ თავის საკუთარი იდეალებითა და ჭკუით იცხოვროს, მანამ ის ყოველთვის თავის მოწინავე კაცებს ჰბაძავს, იმის კვალზე მიდის, იმის იდეალებს ითვისებს, იმათი ცხოვრება და მოქმედება სამაგალითოდ მიიჩნია.

ასეა ყოველთვის: გაუნათლებელი ხალხი უფრო თვალთ, გარეგანის შეხედულებით უყურებს, აკვირდება და ბაძავს ყველაფერს, ვინც გონებით, ჭკუით.

აქედამ წარმოსდგება ის სასიკეთო გავლენა, რომელიც მოწინავე კაცებსა და მოწინავე საზოგადოების წაწილს უფრო გაუნათლებელს, მდამართლავს, ყველა სასწავლებლებ-

ბიო ხალხზედა აქვს. ის კაცი განათლებულია, ასე ცხოვრებს, ამ საქმეს კარგის თვალთ უყურებს, ეს გააკეთაო, ამბობს უშეცარი კაცი; მაშ ეს ცხოვრება, ეს საქმე რიგინი უნდა იყოსო; მაშ მეც ისე უნდა ვიცხოვრო, მეც ისე უნდა ვიმოქმედოო.

რაც მთელს ხალხზე ითქვა, უფრო მომეტებული საფუძვლით ითქმება კერძოდ ოჯახზე და იმის წევრებზე.

დღეა ნახე, მამა ნახე, — შეილი ისე გამოიხატე. — ის ბრძნული არაკია. რაც დედ-მამაა, რაც უფროსებია ოჯახში, ის შეილებიც. ეს საზოგადო კანონია; თუ დედ-მამა კეთილი, მშვიდი, პატიოსანი ხალხია, დარწმუნებული იყავით, რომ შეილებიც რიგინი გამოვლენ. თუ დედ-მამა და საზოგადო უფროსები მუდამ უკაცურად იქნებიან, მუდამ ჩხუბობენ, თუ ყმაწვილები შინ, გარეშე, მუდამ ცუდ, ბოროტ საქმეებს და ურიგო მაგალითებს ჰხედავენ, ხეირანი იმათგან არა გამოვა რა.

საზოგადო ადამიანი და განსაკუთრებით გაუნათლებელი, გარეგანი შეხედულებით მცხოვრები ადამიანი და ყმაწვილი ცოტა არ იყოს მაიმუნია: ის ძალა-უნებურად მიჰბაძავს ხალხს თავის უფროსებს, უფრო გონიერებს.

ზადიბანეთ ახლა ეს მოსაზრება უკოლაში, სასწავლებელში და თქვენ ნახავთ — თუ რა დიდი ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იქ ამას.

მართლაც, ყველა სასწავლებლებ-

ში, საცა კი ხეირანი, მშრომელი და ერთგული მასწავლებელია, შაგირდებიც ეგეთები გამოდიან: ერთგულად სწავლობენ, კარგის ზნისანი არიან. წინააღმდეგ ამისა, საცა მასწავლებელი უფრო ქვიფს ეტანება ზარმაცობს და გულ-აგდებით, ხელმოშვებით ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, იქ მოწაფეებიც არ იმტერევენ თავს სწავლისთვის და სამაგალითო ყოფა-ქცევისანი არ გამოდიან. მართს ცუდს, უზნეო მასწავლებელს და განსაკუთრებით სასწავლებლის ზედამხედველს რამდენიმე ათი და ასი ნორჩი ყმაწვილის ხასიათის გაფუჭება და ზნეობით დაღუპვა შეუძლიან.

ჩვენს ხელთ არ არის, არავის არ ძალ-უძს ერთბაშათ, ერთის ნატერი-თა ანუ ბრძანებით გააჩინოს რომელსამე ხალხში სამაგალითო ცხოვრებისა და პატიოსნების მოწინავე კაცები; არ შეიძლება აგრეთვე ერთბაშად გადაკეთება ოჯახებისა და მშობლების.

მაგრამ ხეირანი მასწავლებლისა და სასწავლებელთ ზედამხედველების დაყენება კი შესაძლებელია. შესაძლებელია იმისთანა მასწავლებლების მოწინავე, რომელნიც დღე და ღამე ლოთობაში, ერთმანეთის ბეზლობაში და ჩხუბში არ ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას და სინიღისიანად თავის მოვალეობის აღსრულებით კეთილ მაგალითს აძლევდნენ მომავალს მოდგმას.

ს. მ.

ფელტონი

ალექსი

საყმაწვილო ზღაპარი

(ზაგრძელება)

თავი V *)

დაბრუნდა ცხვარი.

რომ ნახა კარი

ღია, კრავებიც აღარსად იყო,

მას ელდა ეცა,

პირქვე დაეცა

და საცოდავთ ბლაყილი იწყო!

სთქვა: „მს რა მოხდა!“

ზეზუნდ წამოხტა,

თუმცა ცრემლები ადგა მას თვალში;

და თავის მტერსა,

ბულის მიძგერსა

დიდ გულ-მოსული ჩაუღდა კვალში!

*) „დროება“, № 56.

მისდია ჩქარა, მთა გადიარა და ერთ ღელეში ნახა მან მტერი! შეშინდა მგელი ის საძაგელი, ცხვარს რომ შეხედა; წაუხდა ფერი!

ის გამძღარი მგლო, ვით მკვდარი, და აღარ ჰქონდა საომრად ძალა. და მონელება, ომის შეძლება, იმ წყეულს ცხვარმაც აღარ აცალა:

დროზედ მიასწრო, იშოვნა მან დრო: ამოჰკრა ფაშეში მრისხანემ რქები, ბააპო ჩქარა და გადმოჰკარა ისევე ცოცხლები თავის შეილები!

ბევრი იხარეს, ცრემლები ღვარეს, სიამოვნებით შეექნათ კოცნა.

და მერე ცხვარმა, ბედით დამტკბარმა, თავის შემომქმედს მადლობა უძღვნა.

და წამოვიდა დიდის ამბითა თავის სახლისკენ გულ-დამშვიდებით. და ძველებურად ის მისებურად ისევე სცხოვრებდა, იყო დიდებით.

ხშირად მტერები, მგლები, ტურები, დათვები და სხვა თუმცა აწუხებდნენ, მაგრამ დიდს ზარალს ვერ აძლევდნენ მას, რადგან ციხის კარს მათ არ უღებდენ. *)

აკაი

*) დასასრული ამ ზღაპრისა — თავი მე-VI და VII — რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზნის გამო არ იბეჭდება.


ქართველების მოწინააღმდეგეების უსწომ მკვლელობა

(დასასრული)

იერუსალიმში იყო ეგრეთვე ქალების მოწინააღმდეგეები. მართი მათგანი იყო აშენებული იყოცივილებების და მ.ჩაპლების მიერ. თიმოთე ბაბაშვილის მოგზაურობის დროს (მეთრეველთე საუკუნეს) ამ მოწინააღმდეგეების ქალი ჰყოფილა ანჩაბაძის ასული.

იგივე თიმოთე ბაბაშვილი ამბობს, რომ იერუსალიმის ქართულ მოწინააღმდეგეებში მას დაჰხვდა მრავალი წიგნები და სახეები მეფეების და საქართველოს სხვა დიდ კაცებისა. თემიურაზ ბატონიშვილიც თავის თხზულებაში (1843 წ.) გვეუბნება, რომ მის დრომდეც მათი მდგომარეობა ისევე იყო. დღევანდელ მათის მდგომარეობის კი არა ვიცით რა.

ქართველების უმთავრესი მოწინააღმდეგეები ათონის მთაზე იყო ივერიის ღვთის-მშობლის მოწინააღმდეგეები.



დღიური

დიდი მთავარი ძაგასიის ნამესტ-ნიკი, თავის მეუღლით, ამჟამად პა-რიში იმყოფება; ფრანკულული გა-ზეთები დიდს მნიშვნელობას აძლე-ვენ საფრანგეთის რესპუბლიკის სა-ტახტო ქალაქში ყოფნას რუსეთის დიდი მთავრისას; დაწერილებით სწორენ ყოველ ნაბიჯს, რომელსაც ის ამ ქალაქში ადგამს ხოლმე. მაისის 1-ს დიდი მთავარი და რესპუბლიკის პრე-ზიდენტი მაკ-მაჰონი ერთად ჩამჯდა-რან ეკიპაჟში და მერსალს წასულან. იმათ ერთად დაუხვდათ სამხედრო სან-სირის შკოლა, დასწრებია პარა-ღზე და სხვ. ფრანკულული ძალიან კმაყოფილი არიან, რომ რუსეთის იმპერატორის ძმა იმათ ქალაქში იმყოფება.

* *

ჭუთაისის გიმნაზიაში უწყსოება, როგორც „მთელისის მოამბე“ გვა-ცნობებს, ასე გათავებულა: მასწავ-ლებელს მაცვივის წინადადება მის-ცეს, სამსახურიდამ გამოვიდეს; სამო-ილოვი პატიგორისკის პროგიმნაზია-ში გადაიყვანეს და პრინციპი კანი-კულევის გარდა კიდევ 29 დღით დაითხოვეს და 300 მანეთი მისცეს საეჭიპოთ.

* *

მთელისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორი უფ. ბეს. ლოლაბერიძე, როგორც მოგვხსენე-ბათ, ჭუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მმართველად ამორჩიეს. პე-დაგოგიურ რჩევაში მოლაპარაკება ყოფილა იმის თაობაზე, თუ ვინ უნ-და დანიშნოს ამ თანამდებობაზედ. მაგრამ რადგანაც ამჟამად ამ რჩე-ვის ყველა წევრნი არ იმყოფებიან ქალაქში, ამის გამო ეს საქმე შემო-დგომისთვის გადაუდელია. დირექტო-რად, ამბობენ უეჭველად ისეთი პირი უნდა იყოს, რომელმაც ქარ-თული ენა იცოდეს.

* *

ჩვენ გვითხრეს, რომ თ. ნ. მინ-გრელსკი ნახევარ თავის მამულს 36 წლით არენდით აძლევს შოთის ნავსადგურის ამშენებელის უფ. ფოლ-კენგაგენს და ბახმეტიეს. იჯარით ამღებთა ხსენებულ თავადს წე-ლიწადში ათი ათასი თუმანი (100,000 მან.) უნდა აძლიონ.

* *

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში ჩამო-ვიდა ს.-პეტერბურლის უნივერსიტე-ტის ქართული ენის პროფესორი უ. ალექსანდრე ცაგარელი.

* *

ჭუთაისიდან გვწერენ, რომ მარშ-ლების ამორჩევას კრება ჯერ კიდევ არკვი შესდგომია. აქამდინ სიების შედგენას მოუწოდებენ; ასე რომ ვადა გაუშვიათ და ახლა ხელ-მეო-რედ ვადის დანიშნა უთხოვნიათ უმაღლესი მთავრობისათვის. მუ-დროზე ახალი მარშლები ვერ ამო-არჩიეს, მაშინ, კანონით, ისევ ძველი მარშლები უნდა დარჩნენ.

* *

„მთელისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ჩვენს ქალაქში უფ. აბაიჩინი ზაქათალის გადამწერ მცხოვრებთა სასარგებლოთ მუზიკალურ-დრამატი-ულ საღამოს გამართვას აპირებსო.

* *

იმავე გაზეთში იწერებიან, რომ ნამესტნიკის თანამემწესთან თ. მირ-სკისთან მისულა გამოჩენილი ავაზა-კის ტაშთემურ-ადის შვილი და თავის

ნებით დანებებია მთავრობას. ეს ავა-ზაკი და იმის ოჯახი ადმინისტრაცი-ულის წესით იყო სახალისის კუნ-ძულზე გაგზავნილი და იქილამ გა-მოიქცა.

* *

მიზიცილამ ჩამოსულებმა გვითხრეს, რომ ჩვენში ქერის მკა დაიწყესო; თუმცა მოკლე ყანა მოვიდაო, მაგ-რამ თავთავები საესე არისო.

* *

ჩვენ მივიღეთ შოთიდან შემდე-გი წერილი:

„შუ. რედაქტორო!“

„როგორათაც სხვა და სხვა ქვეყნე-ბილამ გწერენ, რომ თავიანთ საჭი-როება შეისრულონ, თქვენს გაზეთ-ში გამოცხადებით, ვგრე მეც გთხოვთ უმოჩილესად, რომ ჩვენი საჭირო-ებაც გამოაცხადოთ თქვენს პატივე-ცემულ გაზეთში, რომ იქნება ვისიც ჯერი არის ყურადღება მიქციოს ამ საგანსა.

„აგერ შეიდი თუ რვა წელიწადია, რაც ამ ჩვენს შოთში სომხის ეკკლე-სია გაკეთდა და მღვდელიც არის გამწესებული. მაგრამ ეს პირველი არ არის, რომ მღვდელი ძალიან უწყე-სოთ იქცევა და არ ასრულებს თავის ძოვალეობას. წლითი წლამდინ ორი წილი სხვაგან არის, სამ თვეო-ბით და ოთხ თვეობით მიდის სხვა და სხვა ქვეყნებში საქეიფოთ (ქარ-ტის სათამაშოთ), დასტოვებს ამოდენა მრევლს და ვართ უწირავთ და ულოცავთ ამოდენი სომეხნი და დანატრულდებულნი მრავალს საუფ-ლო დღესასწაულების ხილვას. სხვა-თა შორის, წელს აღდგომის მესამეს დღეს საღაღაც წაიდა და მას აქეთ კაცმან არ იცის—თუ სად იმყოფება.

იგი დააარსა მონიკემ, რომელიც იყო მიზანტიის იმპერიის უფროსნი-ვალესი სპასალართავანი, როგორც ამბობს ორიენტალისტი უფ. ლანგ-ლუა. მეათე საუკუნეში იმპერატორს ბასილ მეორეს წინაღუდდა მისი სპა-სალარი ბარდა სკლიაროსი. იმპერა-ტორმა და სენატმა მისი დამორჩი-ლება მიანდეს მონიკეს. ამან, და-ვით ძურატპალატის ნების დართვით, შექრება ქართველების ჯარი და მა-თის შემწეობით მართლა დაუმორჩი-ლა ბარდა სკლიაროსი იმპერატორს.

დასაჩუქრებლად მონიკეს მისცეს ნება ქართულ მონასტრის დაარსე-ბისა, რასაც მან მოახმარა ყოველი თავის ღონისძიება. მონიკე წინეთაც დიდი ხანი იყო საბერძნეთში; იყო იმავე ათონის მთაზე. ლავრაში, სა-დაც მას შეუერთდნენ მისი სიძე იოანე და ამის შვილი მეთიმე. იოანე და მეთიმე შევიდნენ ჯერ მთხ-მკ-ლესიის მონასტერში, აქედგან გად-ვიდნენ მლიმპის ერთს საფანეში და მერმე ლავრაში, როცა მონიკემ და-არსა საკუთრად ქართველების მონა-სტერი, ივინიც, რასაკვირველია, იქ დაემყარენ. — დავით ძურატპალატს კი იმპერატორმა მიძსცა საბერძნეთში ჩამოღენივე თემი ჯარის ნათხოვრო-ბისათვის.

მეორე მონასტერი — შილ ა-თეოსი, არსებობდა მეათე საუკუ-ნეში. მეათეხმეტე საუკუნეში ლეონ მეფემ და მისმა შვილმა ალექსანდ-რემ განაახლეს იგი, და შემდეგ ამი-სა დემყარენ იქ ქართველი ბერები. **✓** მესამე იყო ძარაკალას მონას-ტერი, რომლის არსებობა მომდინა-რეობს მეფერთმეტე საუკუნიდამ. ტი-მოთე ბაბაშვილის სიტყვით, იგი გა-ნაახლეს პრჩილმა, ბიორგიმ და მახ-ტანგმა. **✓**

ათონის მონასტრების მოქმედება ისევე იყო, რაც იერუსალიმის მონას-ტრებისა. იქ გავარჯიშებული ბერები ჩამოდიოდნენ საქართველოში, ხსნი-დნენ შკოლებს და ასწავლიდნენ. ამას-თანვე ბერმა გამოიჩინა თავი სხვა და სხვა წიგნების თარგმნით, მაგალი-თებრ მეთიმემ, რომელმაც ჰსთარგ-მნა, სხვათა შორის, „დაბადება“, და ბიორგიმ; ამას სახელათაც დაერქვა „მთარგმნელი.“ მანსაკუთრებით იე-რის მონასტრიდან იწერდნენ წიგ-ნებს, როდისაც ვინმე ახლად აღა-შენებდა საქართველოში მონასტერს ან ეკლესიას. ამასთანვე რომელიმე მეფე ან დედოფალი რომ წაეიდოდა მიზანტიის იმპერატორთან, ივერიის ბერებს ირჩევდა თან წასაყოლად.

შმღვდლოთა ვარსკ, კრემსკუ სხელება წარგვეცეთოს. გიგალოთიქაა „ბთხოვთ უმოჩილესად, უფალო რედაქტორო, გამოაცხადოთ გაზეთ-ში ეს, რომ სხვა მღვდელი მაინც გამოგვიგზავნონ, ვგება ერთი წირ-ვის ღირსნი გაგხდეთ, რადგანაც ჩვე-ნი მღვდელი 63 დღე არის, თვალით აღარა ჩანს.“

შოთელი სომეხი

შოთი, 6 ივნისს

„დროების“ კორექტორები

სურამი, 7 ივნისს. 31-ს წარსულს მაისს სურამიდან თოთხმეტს ვერს ზედ, სავანლის ხევეში, მოკლეს თო-ფით ერთი პატივეცემული აზნაური ივანე სავანელი თავის თანა მეგვა-რეთ ორ ძმათ სავანლებმა, მათმა უ-კანონო ძმამ, ნაბუშარმა და ბიჭმა მენაბდემ.

მიზეზი მისი სიკვდილისა იყო და-ვა მამულის თაობაზედ. მს მკვლელ-ნი, სავანლები, თავის ძმებით, იმ მი-ზეზით რომ ისინიც თანამეგვარნი არიან, დიდხანია ედავებოდნენ გარ-დაცვალებულს ძმებითურთ მამულს და სურდათ როგორმე მისი დაჩაგე-რა. რადგან სამართლის წესით ვერა გახდნენ რა, მათ მიმართეს ძალას და ყოველ შემთხვევაში სდევნიდნენ გან-სვენებულს და მის ორ ძმას და არ აძლევდნენ მოსვენებას თვით-მე-ბელობით და იარაღის მიხტომით. — დასასრულ, ოცდ-და-თერთმეტს მაისს სულ ბოლო მოუღეს ამ საწყალ აზ-ნაურს. რადგანაც ის მიდიოდა გზა-ზედ თვის მამულში, სავანლის ხე-ვი, გამოუცვინდნენ მკვლევები, ო-რი თოფი და ერთი დამბაჩა ესრო-ლეს, ერთი თოფი და დამბაჩა კი აა-ც-დინეს და ერთი თოფი მოართყეს

წიგნის გამოტანა აღკრძალული იყო და დანაშაული ამ მოქმედებაში გა-მოიჩინებოდა, — მაგრამ ესევე სიფრ-თხილვე არ ჰყოვილა საერო წიგნე-ბის შესახებ. მაგალითებრ, წარსულს საუკუნეში, როგორც ამბობს იმ დროს ინგლისის ერთი მეცნიერი მოგზაუ-რი, ძარაკალას მონასტერში იყვნენ ბერძნულ ენაზე შემდეგნი ხელნაწე-რები: ლემოსთენის, მერიპიდის, მეკ-ლიდის, ჰეზიოდის და ჰომერის. მაგ-რამ დღეს კი არცერთი ეს თხზულებ-ბა არ მოიძივა. მთ უიგინი თავიანთ წიგნებულ პოეტებს და ორატორებს აღარ მოუფრთხილდნენ, ჩვენებს რო-გორ დაიცავდნენ!

ჩამოღენივე ქართული ხელნაწე-რები გადაუტანიათ ბოლოს დროს პეტერბურლში სამეცნიერო აკადე-მიის ბიბლიოთეკაში და მოსკოვში სასინოლო ბიბლიოთეკაში. ძარგი და კეთილი. მაგრამ სირცხვილია ჩვე-ნის მხრით ვგრე ხელნაწევედული მო-ნაწილეობა ამგვარ საქმეებში; თო-რემ ჩამდენიც დრო გადის, იმდენად გვაკლდება და არ გვემატება ძველ დროის წარმოებანი და ჩვენ წინა-პართ ცხოვრების მოწმობანი.

ა. ბ.

პარიჟი, 30 მაისს



შიგ მარცხენა გვერდში და მეორეში გაახვედეს. საწყალი იქვე წაიქცა. მაგრამ მკვლევლები ამითი არ დაკმაყოფილდნენ: ერთმა მათგანმა, მათმა მოჯამაგირემ, მენაბდემ, დასცხა ქვა თაეში, თავი გაუტყნა და საწყალს სული ამოხდა.

ამ შემთხვევამ დიდად დაალონა ახლო-მახლო სოფლების აზნაურნი და გლეხნი, რადგან განსვენებული ძრიელ პატიოსანი ხასიათის და მიმართულების კაცი იყო. ძნელათ მოაგონდებოდა ვისმე მისგან ვაჯავრება, თუნდ მტერს და თუნდ მოკეთეს, და პურ-მარლით კი მისგან ყველანი ყელამდის იყვნენ საესე. ისრეთი საზოგადო ნდობა ჰქონდა დამსახურებული განსვენებულს, რომ ისრე არსად გაჩნდებოდა დავა, მის მედიატორობისათვის არ მიემართნათ, აგრეთვე მამულების დაფასების დროს დამფასებელ წევრათ ის არ დაესახელებინათ, რადგან მშვიდი და სიმართლის მოყვარე კაცი იყო; ნამდვილათაც შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ძნელათ გამოვა შინაური კაცი ისრე მშვიდი, წყნარი, პურადი, პატიოსანი და გამგლენი განსაკუთრებით გლეხობაზედ, როგორც იყო განსვენებული ივანე სავანელი, და რადგანაც ამ ნაირი გავლენა ჰქონდა, ამიტომაც მოჰკლეს მოწინააღმდეგეთ, რომ მის ძმებს მისი გავლენა მოაშორონ და უფრო ადვილათ შეეძლოთ დაჩაგვრა და მამულის წართმევა.

შამოამიებელმან იმდღესვე დაიჭირა დამნაშავენი და ბორის ციხეში გაგზავნა. თუმცა საკმაოდ დამტკიცდა დამნაშავეთაგან წინააღმდეგ ძრახვით ტყუილ-უბრალოდ მოკვლა ივანე სავანლისა, მაგრამ დამნაშავეთ და მათ ძმებთ, რომელთაც თავი ძრიელ მოაქვთ თვის კვარტლით, ანუ მის მსგავს სამსახურში ყოფნით, ძრიელ იმედი აქვთ, რომ დღეს თუ ხელ დამნაშავენი განთავისუფლდებიან პასუხის-გებიდგამ.

თუ მართლა ეს გარემოება გამართლდა და მართლაც დამნაშავენი გამოუშვეს, მაშინ ყველა ღონიერ მამულის მოდავეს ფრთები აესხმება და კადნიერთ მოიშორებს თავის სუსტ წინააღმდეგთ.

ი. პ.

ხაშური, 6 ივნის. ღმერთმა თქვენი ავთ დამაწყევარი შეაწუხოს, როგორც დღეს ხაშურში მუშა და სხვა და სხვა ხელობის ხალხია შეწუხებული უფლის შოთი-თფილისის რკინის გზის შენობების იჯარადრის პრასნოვისაგან!

ამ პრასნოვს აქვს შოთი-თფილისის რკინის გზის სამმართველოსგან აღებული შოთილამ თფილისამდინ ყოველივე შენობა, რომელიც თითქმის ყველა სტანციებში კიდევაც დაასრულა, სულ სხვა-და-სხვა ქალაქებში მოყვანილის ხელობისათვის. მაგრამ ჯერ ამ ხელობისათვის თუმცა ალაგას ორი მანეთი არ მიუცია და ეს ამდენი ხალხი შეკრებილან ხაშურში და შესთხოვენ

ფულსა თითქმის ექვსის თვის ნამუშავეარს და ეს კი ატყუებს და ერთ გროშს არავის აძლევს. ზოგიერთა ხელოსანი ისე მოუტყუებია, რომ არამც თუ იმის ნამუშავეარი ფული მისცა, არამედ რამდენიმე მასალეში შენობისა ამ ხელოსანებს თავიანთის ფულით უყიდნათ და ამ შენობებში მოუხმარებიათ და ამავების ფულსაც არ აძლევს.

მასაკვირველი ეს არის, იქამდისინ თვალთმაქცურათ დაუტყრია საქმე ამ ხელოსანებთან, რომ ბევრი წილი საქმე უპირობოთ წერილით გაუკეთებინებია და თუ ნებით არ მისცა, ვინ რას გადაახდებინებს. ეს ამდენი სული ხალხი დღესაც ხაშურში უცდის; მაგრამ როგორც ამ პრასნოვის საქმეს ეტყობა, ეს ხალხი ერთ რამე უბედურებას აუტყენენ.

22 მაისის თვეს მრავალი ხალხი მუშა და ხელოსნები მიხტომოდნენ ამ პრასნოვს და ფული რომ ვერ მიეღოთ, კინალამ მოეკლათ და ხაშურის სასოფლო მამასახლისს და ჯანდარმებს დემშვიდებინათ ეს აღრეული ხალხი და დაერწმუნებინათ, რომ ჩქარა გაუსწორდება ამათ; მაგრამ ჯერაც არავისთვის არ მიუცია ერთი კაპიკი.

ეს კიდევ არაფერი; ამდენი ხალხი ჰყავს მოტყუებული, ახლათაც ბევრს ატყუებს ამ ნაირათ და ხალხს ამუშავეებს და ამ საცოდავებსაც ისრე დაემართებათ, როგორც წინა ოსტატები დალუბულან; ამასთანავე ასრეთი გამბედავი კაცი ყოფილა ეს პრასნოვი, რომ ერთს ხაშურის ეაჭარს სიმონ თევდორაძეს გარიგებია, ათასი ტელეგრამის ბოძი მუხის ხისა ჩაბაროს და ჩაუბარებია და როდესაც ფულის მისაღებათ მისულა, პრასნოვს უთხოვია პირობის წერილი დამიბრუნე და ფული მიიღვიო. თევდორაძესაც, როგორც სეინილისიანი კაცისთვის მიუცია ხელში პირობის წერილი და პრასნოვს დაუხვია და ფული აღარ მიუცია. ამხედ მაშინათვე თევდორაძეს გამოუცხადებია სურამის მომრიგებელის მოსამართლისათვის და გაურჩევიათ საქმე და თევდორაძეს თავისი ფული მიუღია და პრასნოვი სისხლის სამართალშიაც მიუციათ, მაშინვე დაუტყრიათ და დღეს თავდებათ გამოშვებულიაო.

რალა თქმა უნდა, რომ ამ ნაირი კაცი საშიში არის და ყველანი ფრთხილათ რომ იყვნენ ამ პრასნოვთან კარგი იქნება, თორე თუ არ გაფრთხილდნენ, ეს უცხო ქვეყნის კაცია, ორი ათასი ვერსილამ მოსული, დაჰკრავს ფეხსა და გაიქცევა, და ამ ხალხის ფულს სულ თან გაიდევნებს.

ა. თუთავეი

რუსეთი

მოსკოვის ერთს ფაბრიკაზე მუშებს პირი მიუციათ ერმანეთისათვის და მუშაობისათვის თავი დაუწინებიათ. მიზეზი — ფაბრიკის პატრონს დღიური ქირის დაკლება მოუწოდებია. ეს საქმე მომრიგებელ მოსა-

მართლესთან არის თურმე ახლა განსახილველად.

პეტერბურღში ჩასულა ამ ქამად ორი ოდესელი ეაჭარი, რომელთაც უმაღლეს მთავრობასთან წარსადგენათ ჩამოუტანიათ წესდება ზღვის ხოლდებისა და საქონლის საზღვეველ საზოგადოების თაობაზე. ამ საზღვეველ საზოგადოების მოვალეობა იქნება: ა), მიიღებს საზღვეველად კერძო პირების ხომალდებს; ბ), საზოგადოებაში წარდგენილს ხომალდებში სესხს მისცემს და გ) მიიღებს საზღვეველად ზღვით გასაგზავნ საქონელსა და ფულს ასესხებს ამ საქონლის გირაოთი.

პირთი მდიდარი რუსის მებატონე ნარიშკინი ისეთ კერძო საეთამყოფოს მართავს თავის ხარჯით, რომელიც თორმეტი ადგილი იქნება ისეთი დედაკაცებისათვის, რომელნიც მოურჩენელად არიან ავად. ამ საეთამყოფოს ნარიშკინი თავის მიცვალებული ცოლის სახსოვრად აფუძნებს.

პრთს რუსულ გაზეთში იწერებია, მმართველობის განზრახვა აქვსო, რომ ოლქის სასამართლოებთანა და სასამართლო პალატასთან განსაკუთრებული სტენოგრაფისტები დანიშნებინაო, რომელთაც ამ სასამართლოების ანგარიში უნდა დაწერონ, სტენოგრაფიის წესით, და თუ საჭიროთ დაინახვენ, ბეჭდვით გამოაცხადონ. ამბობენ, ამ სტენოგრაფის თანამდებობაზე ქალები იქნებიან დანიშნულიო.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. პრთს ვენგრიულს გაზეთში გამოცხადებულია ის პროგრამა, რომლის შესრულება ჰსურთ ახალს ხონთქარს და საზოგადოთ ოსმალეთის მმართველობას. თუმცა ეს პროგრამა მაინცა-და-მაინც ყურადღებაში მისაღები არ არის, რადგან ამის შესრულებისათვის, როგორც აღრინდელი მმართველობანი, ისე არც ეს ახალი დიმიტრევეს თავს, მაგრამ რადგან ბევრს ამის იმედი აქვთ და ამგვარი დაპირებით ნუგეშობენ, ამის გამო ამ პროგრამამდამ რამდენიმე ალაგი მოგვეყავს: ა) ოსტომანის იმპერიას მიეცემა კონსტიტუცია; დაწესდება პარლამენტი, რომელშიაც იქნებიან ყველა პროვინციილამ ორორი წარმომადგენლი. ბ) ოსმალეთის ყველა აჯანყებულ ხალხებს მიენიჭება ის უფლება და რეფორმები, რაც ანდრასის ნოტაში და აბდულ-აზისის დაპირებაშია მოყვანილი. გ) სერბიასა და ჩერნოგორიას მოეთხოვება, რომ მშვიდობიანობის სურვილი გამოაცხადონ და ასრულონ ყველა მუხლები იმ პირობისა, რომელიც ამ ქვეყნებს ოსმალეთთან აკავშირებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალს მმართველობა 200,000

ჯარს მოკრებს და გასწავლენ ცნებას ორის თავის ქვეშევრდომ ქალაქებში (დ) შინანსიურ მხრით მმართველობა ეცდება, შემოსავალი გაუთანასწოროს გასადალს და აგრეთვე სახელმწიფო ვალის სარგებელი დროზე იხადოს. ე) მართველობა ეცდება, რომ უფრო წესიერი სასამართლოები დააფუძნოს.

ეს დაპირება — დაპირებაა, მაგრამ ეღირსება ვინმე ამის აღსრულებას თუ არა, ამას იქილამაც დაინახეთ, რომ პირველი საგანი — სახალხო რჩევის (პარლამენტის) დაფუძნება, რომლის შესრულება ახლმა ხონთქარმა დაპირდა ხალხს, გადიდდა და როდეს შესრულდება, ის ერთმალაა იციან:

ინგლისი. ლონდონის პარლამენტის სხდომაში ამ თვის 10-ს პირველ მინისტრს ლორდ ღინრაელის, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვა უთქვამს: „ჩემის ჰაზრით, ახლა უდროა და საშიშიც ოსმალეთის საქმეზე და საზოგადოთ აღმოსავლეთის ძიხვებზე მოლაპარაკება და სჯა. პრთს მომეტებულს სიტყვას შეუძლია ადვილეთს ხალხი და შეუსაბამო იმედი მისცეს. შმათერესმა სახელმწიფოებმა ერთ-ხმად გადაწყვეტეს, რომ ოსმალეთის მთავრობა თავის ნებაზე მიუშვან. საჭიროა მოუცადოთ და ენახოთ — რა ზედმოქმედება ექნება ოსმალს მმართველობის ახალს განცხადებას შესახებ ამნისტიისა (პატიებისა) და ინსურგენტებთან ბრძოლის შეჩერებისა.“

საშრანბეთი. ბიჭუჭყეს სენატორად ამორჩევა და ამის გამო სამინისტროსა და პრეზიდენტს მაკ-მაჰონს შუა უთანხმოების მოხდენა, როგორც ახლა სჩანს, სულ გერცოვის ბროჰლის საქმე ყოფილა. ეს გაიძვერა კაცი ხელადედა, რომ ახალ სამინისტროს ქვეყანაში გავლენა და პატივი დღითი-დღე ემატებოდა და ისეთს რასზე ხრიკს ეძებდა, რომ როგორმე წაეჩხუბა ის რესპუბლიკის პრეზიდენტთან. და ეს ხრიკიც ბიჭუჭყეს კანდიდატურა აღმოჩნდა. იმან დააჯერა მაკ-მაჰონი, რომ ბიჭუჭყეს მხარე დაიჭიროს, რომ ეცადოს რიკარის ადგილზე ის ამოიჩიონ სენატორად; იცოდა, რომ სამინისტრო ამის წინააღმდეგი იქნებოდა და ამ ნაირად განხეთქილება მოხდებოდა. მართლაც ესე მოხდა: სამინისტრომ გამოაცხადა, როგორც ამას წინათაც მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში, რომ თუ მაკ-მაჰონის დახმარებით ბიჭუჭყე სენატორად ამოარჩიეს, ჩვენ ჩვენს თანამდებობას ეტოვებთო. ბიჭუჭყე ამოარჩიეს და ახლა ჯერ ტელეგრამას არ შეუტყობინებია — თუ სამინისტრო რა გზას დაადგა:

ნარკვი

მიცვალებული ხონთქარი აბდულ-აზისი საოცარი მოყვარული ყოფილა მხეცებისა; ვისაც რამე საქმე კი გამოუჩნდებოდა თურმე სულთანთან, ჯერ უთუოთ რომელიმე მხეცი უნდა მიეყენა იმისთვის და მერე გაუ-

